



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000088010902619

№ 58-ი

04 / ოქტომბერი / 2019 წ.

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2020 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2020 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად



კარლო ჯამბურია